



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

პოლოსიანის და ბაგდასარიანის საქმე სომხეთის წინააღმდეგ

(განაცხადი # 22999/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 12 ივნისი

საბოლოო

12/09/2012

კონვენციის 44-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მასში მხოლოდ სარედაქციო ცვლილებების შეტანაა დასაშვები

პოლოსიანი და ბაგდასარიანი სომხეთის წინააღმდეგ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია), პალატა შემდეგი შემადგენლობით:

ჯიზეფ კასადევალი, თავმჯდომარე

ალვინა გულუმიანი,

ეგბერტ მაიერი,

იან სიკუტა

ინეტა ზიემელი

ლუის ლოპეს გუერერა,

კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები,

და სანტიაგო კუესადა, სექციის განმწესრიგებელი

2012 წლის 22 მაისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება რომელიც მიღებულია ამავე დღეს:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია განაცხადი (#22999/06) სომხეთის წინააღმდეგ, რომლითაც სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2006 წ. 16 მაისს, მიმართა სომხეთის ორმა მოქალაქემ ბ-მა არმენ პოლოსიანმა და ქ-მა ანაჰიტ ბაღდასარიანმა („განმცხადებლები“).
2. განმცხადებლებს წარმოადგენდა ქ-ნი ს. საფარიანი ადვოკატი, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ერევანში ახორციელებს. ხოლო სომხეთის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მისი სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი გ. კოსტანიანი.
3. ბ-ნი პოლოსიანი („პირველი განმცხადებელი“) აცხადებს რომ მას არ მიუღია კომპენსაცია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მიადგა ცუდი მოპყრობის, უკანონო დაკავების დპატიმრობის ა და უსამართლო მსჯავრდების გამო.
4. 2008 წლის 20 ნოემბერს სასამართლომ მთავრობას გააცნო განცხადება. ასევე გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქმის დასაშვებობაზე (მუხლი 29 ნაწილი 1)

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

5. განმცხადებლების დაბადების თარიღებია 1976 და 1932 წელი შესაბამისად და ცხოვრობენ სარატოვკაში, სომხეთში.
6. მეორე განმცხადებელი არის პირველი განმცხადებლის დედა.
7. 1998 წლის 8 ოქტომბერს პირველი განმცხადებელი მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში ეჭვის საფუძველზე რომ მან ჩაიდინა გაუპატიურება და მკვლელობა. მომზადდა განმცხადებლის დაკავების ოქმი, სადაც მითითებული იყო რომ მისი დაკავების საფუძველი იყო ჩადენილი მკვლელობა. ოქმს მან ხელი მოაწერა. პოლიციის განყოფილებაში პირველი განმცხადებელი გახდა ცუდი მოპყრობის ობიექტი რამოდენიმე პოლიციის ოფიცრის მხრიდან და მოგვიანებით როდესაც გამომძიებელმა დაკითხა იგი მან აღიარებითი ჩვენება მისცა.
8. 1998 წლის 11 ოქტომბერს პირველი განმცხადებელი განათავსეს წინასწარი დაკავების საკანში და 1998 წლის 21 ოქტომბერს მას ოფიციალურად წარედგინა ბრალი გაუპატიურებასა და მკვლელობაში.
9. 1999 წლის 29 მარტს ლორის რაიონულმა სასამართლომ პირველი განმცხადებელი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას თხუთმეტწლიანი პატიმრობა. სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, *inter alia*, მის აღიარებით ჩვენებას. ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სისხლის სამართლის და სამხედრო სააპელაციო სასამართლომ და საკასაციო სასამართლომ 1999 წლის 20 მაისს და 16 ივნისს შესაბამისად. როგორც საქმის გარემოებებიდან ვლინდება პირველი განმცხადებელი წარუმატებლად ცდილობდა დაემტკიცებინა რომ მისი აღიარებითი ჩვენება მოპოვებული იყო ძალდატანებით.
10. კონვენცია და ოქმი #7 სომხეთში ძალაში შევიდა 2002 წლის 26 აპრილს და 1 ივლისს შესაბამისად.
11. 2003 წლის 24 ნოემბერს გენერალურმა პროკურატურამ პირველი განმცხადებლის საქმეზე განაახლა გამოძიება ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, რომელიც ამტკიცებდა მის უდანაშაულობას. კონკრეტულად კი, ნამდვილი დამნაშავე რომელმაც ჩაიდინა პირველი განმცხადებლისათვის შერაცხული დანაშაული გამოვლინდა მას შემდეგ რაც მან მსგავსი დანაშაული ჩაიდინა განმეორებით. ამასთანავე, პირველი განმცხადებლის ბრალდება ეფუძნებოდა გაყალბებულ მტკიცებულებებს რომლებიც მოპოვებული იყო კანონის დარღვევით.

12. 2004 წლის 2 აპრილს საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა გაეუქმებინა პირველი განმცხადებლის ბრალდება და დაეწყო ხელახალი გამოძიება. საკასაციო სასამართლომ დაადგინა რომ არსებობდა ახლად გამოვლენილი გარემოებები მას შემდეგ რაც მოხდა პირველი განმცხადებლის ბრალდება და რომელიც არ იყო ცნობილი სასამართლოებისათვის მოცემული დროისთვის. ეს გარემოებები იძლევიან საფუძველს იმის ფიქრისთვის რომ ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის საკანონმდებლო პროცედურების დარღვევას პირველი განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა საქმის ობიექტურ, ზედმიწევნით და სრულყოფილ გამოკვლევაზე.
13. 2004 წლის 17 აპრილს სისხლის სამართლის საქმე აღიმრა გამომძიებლის და რამოდენიმე პოლიციის ოფიცრის მიმართ რომლებიც ჩართულნი იყვნენ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში. მათ ბრალად ედებოდათ უფლებამოსილების გადაჭარბება პირველი განმცხადებლის იძულება მიეცა აღიარებითი ჩვენება.
14. იმავე დღეს პირველი განმცხადებელი, მას შემდეგ რაც მოიხადა სასჯელის ხუთი წელი და ექვსი თვე, გაათავისუფლეს პატიმრობიდან სახლიდან გაუსვლელობის ხელწერილით.
15. 2004 წლის 29 აპრილს სისხლის სამართლის საქმე პირველი განმცხადებლის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 35 ნაწილი 1 (2)-ის შესაბამისად დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო (*corpus delicti*).
16. იმავე დღეს გენერალურმა პროკურატურამ გაუგზავნა წერილი პირველ განმცხადებელს და შეატყობინა გადაწყვეტილების თაობაზე და იმ ფაქტის თაობაზე რომ ის ითვლება „გამართლებულ პირად“ და რომ მას აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია სამოქალაქო წესით. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ გენერალური პროკურატურა გამოხატავს მწუხარებას მართლმსაჯულების არასწორად წარმართვისთვის.
17. 2004 წლის 6 მაისს პირველი განმცხადებელი სცნეს მსხვერპლად. შესაბამის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ მან განიცადა ფსიქოლოგიური, ფიზიკური და მატერიალური ზიანი პოლიციის ოფიცრების და საგამომძიებო ორგანოს მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებების შედეგად.
18. 2005 წლის 15 ივნისს ლორის რაიონულმა სასამართლომ ორი პოლიციის ოფიცერი სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და მიუსაჯა მათ სამ წლიანი პატიმრობა და აუკრძალა მათ გარკვეული თანამდებობების დაკავება ორი წლის ვადით მაგრამ მათ შეეხოთ ამნისტია და აღარ მოუწიათ პატიმრობის

მოხდა. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, *inter alia*, რომ 1998 წლის 8 ოქტომბერს პოლიციის ოფიცრებმა დააკავეს პირველი განმცხადებელი და მისი ძმა და მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც პოლიციის ოფიცრები ცუდათ მოეპყრენ პირველ განმცხადებელს მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. როდესაც პირველმა განმცხადებელმა უარი განაცხადა აღიარებით ჩვენებაზე ერთ–ერთმა პოლიციის ოფიცრმა მას წიხლი და მუშტი დაარტყა და უკანონოდ დატოვა პოლიციის განყოფილებაში. იმავე დღეს ორმა პოლიციის ოფიცრმა გააგრძელა პირველი განმცხადებლის ცემა. ერთ–ერთმა მათგანმა მას ორივე ყურზე დაარტა რის შედეგადაც პირველ განმცხადებელს ყურის ბარბანტი გაუსკდა. შემდეგ მათ შემოიტანეს ბოთლი და აიძულებდნენ პირველ განმცხადებელს დამჯდარიყო ბოთლზე. ამავე დროს სხვა პოლიციის ოფიცერი სცემდა პირველი განმცხადებლის ძმას მეორე ოთახში და პირველ განმცხადებელს ესმოდა მისი ძმის ყვირილის ხმები. გააცნობიერა რა პირველმა განმცხადებელმა რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა რომ თავი დაეღწია მსგავსი მოპყრობისთვის მან აღიარა მკვლელობა. მეორე დღეს როდესაც მოკვლევის მიზნით უნდა წაეყვანათ პირველი განმცხადებელი დანაშაულის ადგილას პოლიციის ოფიცრმა მას რამოდენიმეჯერ დაარტყა გაფრთხილების მიზნით. 1998 წლის 14, 16 და 19 ოქტომბერს პირველი განმცხადებელი დაკავების საკნიდან წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას ურტყამდნენ რომ მას ელიარებინა მსხვერპლის მკვლელობამდე გაუპატიურება. პირველი განმცხადებელი იძულებული იყო ელიარებინა ესეც იმისათვის რომ დაესრულებინა მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა.

19. ეს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;

20. 2004 წლის 17 სექტემბერს პირველმა მომჩივანმა შეიტანა სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 34050000 სომხური დრამის ოდენობით ცუდი მოპყრობის, უკანონო დაკავების და პატიმრობის და უსამართლო მსჯავრდების გამო რომელიც მან განიცადა. მისი სარჩელი ეფუძნებოდა კონვენციის მე–3–ე; მე–5–ე და მე–6–ე მუხლებს.

21. დაუზუსტებელ დღეს ქ–ნი ბაღდასარიანი (მეორე განმცხადებელი) შეუერთდა სამოქალაქო სარჩელს, როგორც თანაგანმცხადებელი, და მოითხოვა პირველი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხის ნახევარი.

22. დაუზუსტებელ დღეს პირველმა განმცხადებელმა შეიტანა დამატებითი სარჩელი და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება 60 000 000 სომხური დრამის ოდენობით. მან განაცხადა რომ მიუხედავად იმისა, რომ მან აქამდე მხოლოდ ფინანსური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა მას უფრო დიდი მორალური ზიანი მიადგა. კონვენციის პრეცედენტული სამართალი კი ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურებას მსგავს საქმეებში.

23. 2005 წლის 28 აპრილს ერევნის კენტრონის და ნორკ-მარაშის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე იმ საფუძველით რომ მსგავსი სახის ზიანი არ არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსის მე-17-ე მუხლის მიხედვით. საოლქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ფინანსური ზიანის ანაზღაურების სარჩელი და დაადგინა, *inter alia*, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის მიხედვით პირველი განმცხადებელი-როგორც გამართლებული პირი – უფლებამოსილია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია უკანონო პატიმრობისთვის, დაკავებისთვის, ბრალდებისა და სასჯელისთვის და კომპენსაციის სახით მას განესაზღვრა 6 250 000 სომხური დრამი 1998 წლის 11 ოქტომბრიდან 2004 წლის 17 აპრილამდე განაცდური შემოსავლის გამო. მეორე მომჩივანს კი განესაზღვრა ფინანსური ზიანის ანაზღაურება 1 500 000 სომხური დრამის ოდენობით სამგზავრო ხარჯების, საფოსტო ამანათების გაგზავნის და იურიდიული ხარჯებისთვის.

24. 2005 წლის 12 მაისს პირველმა მომჩივანმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

25. 2005 წლის 31 აგვისტოს სამოქალაქო სასამართლომ არ მიიღო პირველი განმცხადებლის სააპელაციო სარჩელი და ძალაში დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

26. 2005 წლის 16 სექტემბერს მომჩივნებმა კანონის საფუძველზე მოამზადეს სააპელაციო სარჩელი;

27. 2005 წლის 18 ნოემბერს საკასაციო სასამართლომ არ მიიღო მომჩივნების სააპელაციო სარჩელი.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. სამოქალაქო კოდექსი (ძალშია 1999 წლის 1 იანვრიდან)

28. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები ადგენს:

მუხლი 17: ზიანის ანაზღაურება

1. ნებისმიერი პირი, რომლის უფლებებიც შეილახა უფლებამოსილია მოითხოვოს სრული კომპენსაცია მიყენებული ზიანისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრულია კომპენსაციის უფრო დაბალი ოდენობა.
2. ზიანი არის ხარჯი გაწეული ან რომლის გაწევაც პირს მოუწევს რომლის უფლებებიც შეილახა დარღვეული უფლებების, დაკარგული ქონების ან ზიანის (მატერიალური ზიანი) აღდგენის პროცესში, მათ შორის შემოსავლის

დაკარგვა რომელსაც პირი მიიღებდა ნორმალურ პირობებში სამოქალაქო ცხოვრების პროცესში, იმ შემთხვევაში თუ მისი უფლებების შელახვა არ მოხდებოდა (არ დაიკარგებოდა შემოსავალი)“

მუხლი 1064: გამოძიების ოფიცრის, საგამოძიებო უწყების, პროკურატურის ან სასამართლოს მიერ უკანონო მოქმედებით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობა

1. ზიანი გამოწვეული უკანონო სასჯელით, (უკანონო) სისხლის სამართლის გამოძიებით, პატიმრობის როგორც აღმკვეთი ღონისძიების (უკანონო) დაკისრებით, გაუსვლელობის ხელწერილით, ადმინისტრაციული სასჯელის (უკანონო) დაკისრებით უნდა ანაზღაურდეს სრულად, კანონით დაგდენილი წესით, სომხეთის რესპუბლიკის მიერ, მიუხედავად მოკვლევის, საგამოძიებო ორგანოს, პროკურატურის ან სასამართლოს ბრალეულობისა . . .“

ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ძალშია 1999 წლის 12 იანვრიდან)

29. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები ადგენს:

მუხლი 35. სისხლის სამართლის დევნის და საქმის წარმოების ხელის შეშლელი გარემოებები

„1. არც სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს და ნებისმიერი უკვე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ . . . (2) დანაშაულის შემადგენლობა *corpus delicti* არ არსებობს. . .“

მუხლი 66: გამართლებული პირი

„1. პირი გამართლებულად ჩაითვლება თუ მის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიება ან სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება ამ კოდექსით განსაზღვრული საფუძვლებით (*inter alia* მუხლი 35 ნაწილი 1 პუნქტი (2)) თუ მისი გამართლება მოხდა სასამართლო გადაწყვეტილებით.

. . .

3. გამართლებული პირი უნდა იყოს . . . უფლებამოსილი მოითხოვოს სრული კომპენსაცია ფინანსური ზიანისათვის რომელიც მას მიაღება მისი უკანონო დაკავების, პატიმრობის, ბრალდების და სასჯელის გამო, ქონების შესაძლო დაკარგვის გათვალისწინებით.“

III. ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი #7-ის განმარტებითი ბარათი (ETS #117)

30. განმარტებითი ბარათის შესაბამისი ნაწილი იკითხება შემდეგნაირად:

მუხლი 3

„22. ეს მუხლი უზრუნველყოფს კომპენსაციის გადახდას უსწორო მართლმსაჯულების მსხვერპლისთვის, გარკვეულ პირობებში.

პირველი, პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით და მას მიესაჯა სასჯელი ამ ბრალდების საფუძველზე. სისხლის სამართლის გადაწყვეტილების საერთაშორისო ვალიდურობის შესახებ ევროპული კონვენციის განმარტებითი ბარათის მიხედვით, გადაწყვეტილება საბოლოოა

“თუ, ტრადიციული გამონათქვამების მიხედვით მან მიიღო გადაწყვეტილი საქმის *res judicata* ძალა. ეს არის შემთხვევა როდესაც გადაწყვეტილება აღარ შეიცვლება, ანუ მდგომარეობა როდესაც სამომავლო მოქმედებები ვეღარ განხორციელდება ან როდესაც მხარეებმა ამოწურეს ასეთი საშუალებები ან გაუშვეს კანონით დადგენილი ვადები ამ შესაძლებლობების გამოყენების გარეშე“. ეს ნიშნავს იმას რომ გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება საბოლოოდ თუ ეროვნული კანონმდებლობით დასაშვებია საპროცესო მოქმედებების განხორციელება. შესაბამისად, ეს მუხლი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე როდესაც ბრალდება უარყოფილია ან ბრალდებული პირი გამართლებულია სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან უმაღლესი ტრიბუნალის მიერ. თუ რომელიმე სახელმწიფოში სადაც დაშვებულია შესაძლებლობა პირის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების მას შემდეგ რაც ამისათვის დაშვებული დრო ამოიწურება, და მისი ბრალდება შემდეგ სააპელაციო ეტაპზე შეიცვლება, მაშინ ამ მუხლის სხვა დებულება მიესადაგება რომელიც აღწერილია 24-ე პუნქტში ქვემოთ.

23. მეორე, მუხლი შეესაბამება მხოლოდ იმ შემთხვევას როდესაც პირის ბრალდება შეიცვალა ან მას შეეხო შეწყალება და ორივე შემთხვევაში საფუძველს წარმოადგენს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტები რომლებიც ადგენენ რომ მართლმსაჯულება არასწორად განხორციელდა – ანუ ბრალდებული პირის მიმართ მიკერძოებით და სერიოზული დარღვევებით მოხდა მართლმსაჯულების განხორციელება. ამიტომ მუხლის მიხედვით არ არსებობს ვალდებულება კომპენსაციის გადახდის თუ პირის ბრალდება გაუქმდა და მოხდა შეწყალება სხვა რაიმე საფუძველით. მუხლი ასევე არ განმარტავს არანაირ წესს იმ პროცედურასთან დაკავშირებით რომლითაც უნდა მოხდეს უსწორო მართლმსაჯულების დადგენა. ეს წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის და სახელმწიფოს შიდა პრაქტიკის საკითხს. სიტყვები „ან მისი შეწყალება მოხდა“ ჩაემატა ვინაიდან სამართლის ზოგიერთ სისტემაში შეწყალება და არა სამართლებრივი პროცედურები რომელიც იწვევს სასჯელის შეცვლას, შესაძლოა იყოს შესაბამისი საშუალება მას შემდეგ რაც საბოლოო განაჩენი დადგება.

24. და ბოლოს, ამ დებულებით კომპენსაციის მიღების უფლება არ დადგება თუ დამტკიცდება რომ უცნობი ფაქტის დროულად გამჟღავნებას სრულად ან ნაწილობრივ ხელს უშლიდა ბრალდებული პირი.

25. ყველა შემთხვევაში, როდესაც ეს წინაპირობები დაკმაყოფილებულია კომპენსაციის გადახდა ხდება „სახელმწიფოს არსებული კანონით ან პრაქტიკის შესაბამისად“. ეს არ ნიშნავს იმას რომ კომპენსაციის გადახდა არ მოხდება თუ კანონი ან პრაქტიკა არ იძლევა შესაბამის განმარტებას. ეს ნიშნავს რომ კანონმა და სახელმწიფომ უნდა მოახდინოს კომპენსაციის გადახდა ყველა იმ შემთხვევაში რომელსაც მუხლი განმარტავს. განზრახვა მდგომარეობს იმაში რომ სახელმწიფომ პირისთვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოახდინოს მხოლოდ უსწორო მართლმსაჯულების აშკარა შემთხვევებში რითაც დადგინდება რომ პირი ნამევილად უდანაშაულო იყო. ამ მუხლის მიზანს არ წამოადგენს კომპენსაციის უფლების გავრცელება იმ შემთხვევაზე როდესაც ყველა წინაპირობა არ არის დაკმაყოფილებული, მაგალითად, როდესაც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბრალდება ვინაიდან მან გამოავლინა ახალი ფაქტი რომელიც აჩენდა საფუძვლიან ეჭვს ბრალდებული პირის ბრალეულობის შესახებ და რომელიც გადასინჯა მოსამართლემ“.

სამართალი

1. მეორე განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსი

31. სასამართლო პირველ რიგში საჭიროდ მიიჩნევს გადაწყვეტილება მიიღოს მეორე განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით. იგი ადგენს რომ ტერმინი „მსხვერპლი“ გამოყენებული კონვენციის 34-ე მუხლში აღნიშნავს პირს რომელზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა მოქმედებამ ან უმოქმედობამ რომელიც განხილვის საგანს წარმოადგენს (იხილეთ, *ვატანი რუსეთის წინააღმდეგ (Vatan v. Russia)*, #47978/99, პარაგრაფი 48, 2004 წლის 7 ოქტომბერი).

32. მოცემულ საქმეში მხოლოდ პირველი განმცხადებელი გახდა ცუდი მოპყრობის და პატიმრობის ობიექტი ბრალდებისთვის რომელიც საბოლოო ჯამში გაუქმდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს რომ მეორე განმცხადებლის სარჩელი შეუსაბამოა *ratione personae* კონვენციის დებულებებთან 35-ე მუხლის მესამე ნაწილის ფარგლებში და უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად.

33. სასამართლო შესაბამისად შემოიფარგლება მხოლოდ პირველი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სარჩელით და გამარტივების მიზნით მას მომავალში მოიხსენიებს როგორც „განმცხადებელს“.

II. კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის და მე-13-ე მუხლის და კონვენციის ოქმი #7-ის მე-3-ე მუხლის სავარაუდო დარღვევა

34. განმცხადებელმა განაცხადა მისი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე რომელიც ეხებოდა მორალური ზიანის ანაზღაურებას მისი ცუდად მოპყრობის, უკანონო დაკავების და პატიმრობის, უსამართლო ბრალდების გამო. იგი მიუთითებს კონვენციის მე-3-ე, მე-5-ე და მე-6-ე მუხლებზე. სასამართლო ადგენს რომ ეს სარჩელი განხილული უნდა იყოს კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის და მე-13-ე მუხლის და კონვენციის ოქმი #7 მე-3-ე მუხლის ფარგლებში, რომელშიც ვკითხულობთ:

კონვენციის მე-5-ე მუხლი ნაწილი მე-5-ე

„ყველა მსხვერპლს ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება“.

კონვენციის მე-13-ე მუხლი

„ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი ეროვნული ხელისუფლებისგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც ოფიციალურ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

კონვენციის ოქმი #7 მე-3-ე მუხლი

„თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დაკმვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა“.

ა. დასაშვებობა

35. სასამართლო აღნიშნავს რომ შესაძლოა წარმოიშვას საკითხი იმის თაობაზე აქვს თუ არა სასამართლოს დროებითი იურისდიქცია *ratione temporis* შეამოწმოს განმცხადებლის სარჩელი, იმის გათვალისწინებით რომ მისი სარჩელი კონვენციის მე-3-ე, მე-5-ე და მე-6-ის მუხლების ფარგლებში მის მიმართ ცუდი მოპყრობის, უკანონო დაკავების და პატიმრობის და უსამართლო მსჯავრდების თაობაზე სცდება სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს (იხილეთ პარაგრაფი 55-57 ქვემოთ). სასამართლო მიუთითებს რომ განმცხადებლის მიმართ

განხორციელებული ცუდი მოპყრობის გამოძიება, პოლიციის ბრალდება და საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის პროცედურები განხორციელდა მას შემდეგ რაც კონვენცია შევიდა ძალაში სომხეთში. ამიტომ სასამართლო მიიჩნევს რომ განმცხადებლის სარჩელი კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის და მე-13-ე მუხლის და დამატებითი ოქმი #7-ის მე-3-ე მუხლის მიხედვით ჯდება სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში *ratione temporis*.

36. სასამართლო აღნიშნავს რომ ეს სარჩელი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მესამე ნაწილის (ა) პუნქტის ფარგლებში. სასამართლო ასევე მიუთითებს რომ ის არ არის მიუღებელი არცერთი საფუძვლით და ამიტომ უნდა იქნას ცნობილი დასაშვებად.

ბ. საქმის არსებითი მხარე

1. მხარეების პოზიციები

(ა) სახელმწიფო

37. სახელმწიფო დაობდა მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილთან მიმართებით და ამბობდა რომ ეს მუხლი ეხებოდა მე-5-ე მუხლის ერთი ან რამოდენიმე სხვა დებულების დარღვევას, რასაც ამ მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. განმცხადებლის დაკავება და დაპატიმრება მოცემულ მომენტში არ მომხდარა მე-5-ე მუხლის დარღვევით ვინაიდან ეროვნული სასამართლოები მოქმედებდნენ კანონის შესაბამისად. ადგილი არ ჰქონია მე-5-ე მუხლის პირველი ნაწილის (ა) ქვეპუნქტის დარღვევას ვინაიდან განმცხადებელს ბრალი წაუყენა კომპეტენტურმა სასამართლომ და არც მე-5-ე მუხლის, პირველი ნაწილის, (გ) ქვეპუნქტის დარღვევას ჰქონდა ადგილი ვინაიდან განმცხადებლის დაკავების მიზანი იყო მისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე წარდგენა ეჭვის საფუძველზე რომ მან ჩაიდინა გაუპატიურება და მკვლელობა. მოცემული მომენტისთვის ეროვნულ სასამართლოს არ ჰქონია არანაირი მტკიცებულება ხელთ რომელიც გაამართლებდა სასამართლოს მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებას. ადგილი არ ჰქონია მე-5-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის დარღვევას ვინაიდან მომჩივანმა მოაწერა ხელი მისი დაკავების ოქმს იმავე დღეს რა დღესაც ის მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, მისთვის ცნობილი იყო მისი დაკავების მიზეზი. შესაბამისად არ ჰქონია ადგილი მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის და მე-4-ე ნაწილის დარღვევებს.

38. სახელმწიფო ასევე ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის ბრალდების გაუქმება და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა არ იწვევს მისი პატიმრობის და დაკავების მე-5-ე მუხლთან შეუსაბამობას, ვინაიდან ეს განხორციელდა ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე.

39. მე-13 მუხლთან მიმართებით სახელმწიფომ განაცხადა რომ განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი იყო გამოსწორების სწორი საშუალება. კონკრეტულად კი, მას შემდეგ რაც გამოვლინდა ახალი ფაქტები სისხლის სამართლის საქმისწარმოება დაუყოვნებლივ დაიწყო პოლიციის ოფიცრების მიმართ, მომჩივანს მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი, პოლიციის ოფიცრებს წაეყენათ ბრალი და სისხლის სამართლის საქმის წარმოება განმცხადებლის მიმართ შეწყდა და მისი მოთხოვნა ფინანსური ზიანის ანაზღაურებაზე დაკმაყოფილდა. ამასთანავე, გენერალურმა პროკურორმა ბოდიშის წერილი გაუგზავნა მომჩივანს უსწორო მართლმსაჯულების გამო. ყველა ეს ღონისძიება უნდა იქნას მიჩნეული როგორც კომპენსაცია მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის. მოცემული საქმის ფაქტები განსხვავდება კინანი გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ (*Keenan v. the United Kingdom*) საქმის (#27229/95; პარ 130; ECHR 2001–III) და კანტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (*Kontrová v. Slovakia*) (#7510/04; პარ 64; 2007 წლის 31 მაისი) ფაქტებისგან ვინაიდან ეს საქმე არ წარმოშობს საკითხს მე-3-ე მუხლის ფარგლებში.

40. და ბოლოს სახელმწიფომ განაცხადა რომ კონვენციის ოქმი #7–ის მე-3-ე მუხლის ფარგლებში მომჩივანს დაუმტკიცდა ადექვატური კომპენსაცია. კონკრეტულად კი მას დაუმტკიცდა კომპენსაცია ფინანსური ზიანისათვის და მან მიიღო ოფიციალური ბოდიშის წერილი გენერალური პროკურატურისგან რაც უნდა ჩაითვალოს საკმარის კომპენსაციად მორალური ზიანისათვის. კონვენციის ოქმი #7–ის მე-3-ე მუხლი მოითხოვს კომპენსაციის გადახდას სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დადგენილი პრაქტიკის მიხედვით. ასე რომ კომპენსაცია – გამოხატული ბოდიშის ფორმით – რომელიც მან მიიღო მორალური ზიანისათვის არ იყო თვითნებური ქმედება ვინაიდან ეს წარმოადგენდა მიღებულ პრაქტიკას მსგავს სიტუაციაში.

(ბ) განმცხადებელი

41. განმცხადებელი დაობს, რომ კონვენციის მე-3-ე, მე-5-ე და მე-6-ე მუხლები შესაბამისია მის საქმეში და რომ სამართლიანი კომპენსაციის მიღება უმნიშვნელოვანესია. ბოდიშის წერილი რომელიც მან მიიღო ვერ იქნება სერიოზულად განხილული. გენერალურმა პროკურორმა ოფიციალურ წერილთან ერთად მას გამოუგზავნა ალექსანდრე დიუმას „გრაფი მონტე კრისტო“. ნებისმიერ შემთხვევაში, გაჭირვება, ფსიქიკური ტანჯვა, საშინელი ფიზიკური ტკივილი რომელიც მან განიცადა ხუთი წლის განმავლობაში იმსახურებს უფრო გონივრული ფორმით კომპენსაციას ვიდრე ბოდიშის წერილია. გარდა ამისა, ყოველი წლის 1 სექტემბერს, მისი დაკავების დღეს, სომხეთის ტელევიზია გადასცემდა გადაცემას რომელიც მომზადებული იყოს სომხეთის პოლიციის მიერ, რომელიც ამტკიცებდა რომ მან აღიარა დანაშაული.

ამ ქმედებით ხდებოდა მისი მუდმივი დეგრადირება საზოგადოების თვალში და არაფერი გაკეთებულა ხელისუფლების მიერ მისი რეპუტაციის აღსადგენად მას შემდეგ რაც ის გამართლდა. 2007 წელს ის დაოჯახდა მაგრამ შვილი არ ეყოლა. ექიმებმა მისი უშვილობის მიზეზად პატიმრობის პირობები მიიჩნიეს. მას ასევე მარცხენა ყურში განუვითარდა შუაყურის ანთება და დაუდგინდა მეორე ხარისხის ორმხრივი სიყრუე ყურში ჩარტყმის გამო. ის ტკივილგამაყუჩებლებს იღებს და ყურში სმენის აღდგენა შეუძლებელია. ეროვნული სასამართლოს მიერ არ დადგინდა კომპენსაციის გაცემა ჯანმრთელობის ზიანისათვის, მიუხედავად იმისა რომ დამტკიცდა რომ ის გახდა ცუდი მოპყრობის ობიექტი. და ბოლოს სახელმწიფოს არგუმენტი რომ მისი დაკავება განხორციელდა კონვენციის მე-5-ე მუხლის მიხედვით და რომ ის ეფუძნებოდა საფუძვლიან ეჭვს მიუღებელია ვინაიდან ცუდად მოპყრობის ნიშნები მის სხეულზე ვიზუალურად შესამჩნევია დღესაც. ამასთანავე, ის მუდმივად ცდილობდა დაემტკიცებინა მისი უდანაშაულობა სასამართლოს წინაშე და უფრო ზემდგომ სასამართლოში ასაჩივრდება მის მსჯავრდებას.

2. სასამართლოს შეფასება

42. სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს რომ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილოს საჩივრებზე კონვენციის მე-13-ე მუხლის და კონვენციის ოქმი #7 მე-3-ე მუხლის ფარგლებში და შემდეგ საჩივრებზე კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის ფარგლებში.

(ა) კონვენციის მე-13-ე მუხლი

43. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს რომ შეზღუდული კომპეტენციის გამო ის ვერ გამოიკვლევს განმცხადებლის მიმართ პოლიციის განყოფილებაში განხორციელებულ მოპყრობას იმისათვის რომ დაადგინოს დაირღვა თუ არა კონვენციის მე-3-ე მუხლის მოთხოვნები (იხილეთ პარაგრაფი 55-57 ქვემოთ). მიუხედავად ამისა სასამართლო ადგენს რომ კონვენციის სხვა დებულების რეალური დარღვევის არსებობა არ წარმოადგენს მე-13-ე მუხლის გამოყენების წინაპირობას. მე-13-ე მუხლი იძლევა ეროვნულ დონეზე გამოსწორების საშუალებას – და ადგენს შეუსაბამობას კონვენციის უფლებების და თავისუფლებების არსთან ნებისიერი ფორმით რა ფორმითაც ის შეიძლება გამოხატული იყოს უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში. ამიტომ იმისათვის რომ მე-13-ე მუხლი იყოს შესაბამისი მნიშვნელოვანია პირისთვის მას ჰქონდეს დასაბუთებული სარჩელი კონვენციის ფარგლებში (იხილეთ *Boyle and Rice v. the United Kingdom, 1988 წლის 27 აპრილი*, § 52, სერია A no. 131)

44. სასამართლო ადგენს რომ განმცხადებლის მიმართ ცუდად მოპყრობა პოლიციის ოფიცრების მხრიდან აშკარად დადგინდა ეროვნული სასამართლოების მიერ,

კონკრეტულად კი ლორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით რომლითაც ორი მონაწილე პოლიციის ოფიცერი დაისაჯა (იხილეთ პარაგრაფი 18 ზემოთ). ამიტომ სასამართლო მიიჩნევს რომ მომჩივანს უდაოდ აქვს სადაო სარჩელი ეროვნული სასამართლოების წინაშე მე-13-ე მუხლის ფარგლებში ვინდან ის გახდა კონვენციის მე-3-ე მუხლით აკრძალული მოპყრობის ობიექტი.

45. მომჩივანმა შეიტანა სამოქალაქო სარჩელი კომპენსაციის მიღების მიზნით, მათ შორის განცდილი ცუდად მოპყრობისათვის, დამოუკიდებელი საპროცესო მოქმედებების განხორციელებით პოლიციის ოფიცერების მსჯავრდების შემდგომ და მოითხოვა, *inter alia*, მორალური ზიანის ანაზღაურება (იხილეთ პარაგრაფი 22 ზემოთ). მიუხედავად ამისა, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის მომჩივანს არ მიაკუთვნეს კომპენსაციის მიღება ვინაიდან ესეთი სახის კომპენსაცია არ იყო ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი.

46. ისმის შეკითხვა, კონვენციის მე-13-ე მუხლი ამ კონტექსტში მოითხოვს თუ არა ასეთი კომპენსაციის გაცემას. შესაბამის საქმედებში სასამართლო ადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას, ითვალისწინებს რა ტკივილს, სტრესს, აშლილობას და ფრუსტრაციას შესაბამისი მორალური ზიანის ანაზღაურებისას. კონვენციის მე-2-ე და მე-3-ე მუხლების, რომლებიც წარმოადგენს კონვენციის ფუნდამენტურ დებულებებს, დარღვევების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება გამოწვეული უფლების შელახვით უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც გამოსწორების ერთ-ერთი საშუალება. (იხილეთ *Keenan* ზემოთ ნახსენები, § 130, და *Kontrová* ზემოთ ნახსენები § 64).

47. ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს რომ მომჩივანს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა მოითხოვა კომპენსაცია მორალური ზიანისთვის, რომელიც მას მიაღება ცუდი მოპყრობის შედეგად. სომხეთის კანონმდებლობის შესაბამისად მისთვის მსგავსი კომპენსაციის მიღება არ იყო შესაძლებელი რითაც მომჩივანმა დაკარგა ეფექტური გამოსწორების უფლება.

48. კონვენციის მე-13-ე მუხლი დაირღვა;

(ბ) კონვენციის ოქმი #7 მე-3-ე მუხლი

49. სასამართლო ხაზს უსვამს რომ ოქმი #7-ის მე-3-ე მუხლის მიზანია მიაკუთვნოს კომპენსაციის უფლება პირს რომელიც მსჯავრდებულად იქცა უსწორო მართლმსაჯულების გამო, როდესაც ესეთი მსჯავრდება შეიცვალა ეროვნული სასამართლოების მიერ ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტების გამო. ასე რომ ოქმი # 7-ის მე-3-ე მუხლი არ ვრცელდება სანამ მსჯავრდება არ შეიცვლება. (იხილეთ *Matveyev v. Russia*, no. 26601/02, §§ 38-39, 2008 წლის 3 ივლისი);

50. მოცემულ საქმეში, ვინაიდან განმცხადებლის ბრალდება გაუქმდა და მან მოითხოვა კომპენსაცია 2002 წლის 1 ივლისს, სომხეთთან მიმართებით ოქმი #7-ის ძალაში შესვლის თარიღი, იურისდიქციის *ratione temporis* პირობები დაკმაყოფილებულია (ibid.). უფრო მეტიც სასამართლოს არ ეპარება ეჭვი იმაში რომ ეს მუხლი შესაბამისია განმცხადებლის საქმის ვინაიდან ყველა საჭირო პირობა დაკმაყოფილებულია.

51. რაც შეეხება ოქმი #7-ის მე-3-ე მუხლით გარანტირებულ უფლებებთან შესაბამისობას, სასამართლო მიიჩნევს რომ ვინაიდან ეს დებულება იძლევა კომპენსაციის გადახდის გარანტიას სახელმწიფოს კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად, ეს არ ნიშნავს იმას რომ კომპენსაციის არ გადახდა გამართლებულია თუ მსგავსი დებულება ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით არ არის განსაზღვრული (ასევე იხილეთ კონვენციის ოქმი #7-ის განმარტებითი ბარათის პარაგრაფი 25, პარაგრაფი 30 ზემოთ). ამასთანავე, სასამართლო მიიჩნევს რომ ოქმი #7-ის მე-3-ე მუხლის მიზანი არ არის მხოლოდ იმ ფინანსური ზიანის ანაზღაურება რომელიც პირს მიაღება არასწორი მსჯავრდებით, არამედ უსწორო მართლმსაჯულების პირობებში მსჯავრდებული პირისთვის ისეთი მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორიცაა მწუხარება, ნერვული აშლილობა, უხერხულობა და სიცოცხლით ტკობის დაკარგვა. მოცემულ საქმეში კი განმცხადებლისთვის მსგავსი სახის კომპენსაცია არ ყოფილა ხელმისაწვდომი.

52. შესაბამისად ადგილი ჰქონდა ოქმი #7 მე-3-ე მუხლის დარღვევას.

(გ) კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილი

53. სასამართლო ადგენს რომ ეს სარჩელი დაკავშირებულია ზემოთ განხილულ სარჩელთან და შესაბამისად უნდა იქნას მიჩნეული დაშვებულად.

54. ოქმი #7 მე-3-ე მუხლის საფუძვლების გათვალისწინებით (იხილეთ პარაგრაფი 52 ზემოთ), სასამართლო მიიჩნევს რომ არ არის საჭირო იმის დადგენა ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის დარღვევას.

III. კონვენციის სხვა ნაგულები დარღვევები

1. მომჩივანმა ასევე განაცხადა რომ მის მიმართ განხორციელებული ცუდი მოპყრობა, უკანონო დაკავება და პატიმრობა და უსამართლო მსჯავრდება არღვევს კონვენციის მე-3-ე, მე-5-ე და მე-6-ე მუხლებით გარანტირებულ უფლებებს.

2. სასამართლო განმარტავს რომ საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების მიხედვით, კონვენციის დებულება არ ზღუდავს ხელშემკვრელ სახელმწიფოს რაიმე მოქმედებას ან ფაქტთან მიმართებით რომელსაც ადგილი ჰქონდა ან ნებისმიერ სიტუაციას რომელიც მოხდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში კონვენციის ძალაში

შესვლამდე (იხილეთ *Blečić v. Croatia* [GC], no. 59532/00, § 70, ECHR 2006-III). სასამართლო ადგენს რომ სარჩელში წარმოდგენილ მოვლენებს ადგილი ჰქონდა სომხეთში კონვენციის ძალაში შესვლამდე ანუ 2002 წლის 26 აპრილამდე.

3. სასამართლო განაგრძობს რომ სარჩელის ეს ნაწილი არ შეესაბამება *ratione temporis* კონვენციის დებულებებს კონვენციის 35-ე მუხლის ნაწილი 3-ის ფარგლებში და უნდა იქნას უარყოფილი 35-ე მუხლის მე-4-ე ნაწილის მიხედვით.

4. და ბოლოს, იმავე მუხლის ფარგლებში მომჩივანმა განაცხადა რომ მისი მოთხოვნა ფინანსურ ზიანზე სრულად არ იქნა დაკმაყოფილებული;

5. სასამართლოს ხელთ არსებული ყველა მასალების და იმის გათვალისწინებით რომ ის ჯდება სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო ამბობს რომ კონვენციით და მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებების და თავისუფლებების დარღვევა არ დგინდება. სასამართლო ადგენს რომ სარჩელის ეს ნაწილი უნდა იქნას უარყოფილი ვინაიდან ის აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

6. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

ა. ზიანი

7. მომჩივანმა მოითხოვა 34,000,000 სომხური დრამა ფინანსური ზიანის ასანაზღაურებლად, მათ შორის ხარჯების და განაცდურის ასანაზღაურებლად. ამის შემდეგ მან მოითხოვა 274,959 ევრო (EUR) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

8. სახელმწიფომ განაცხადა რომ განმცხადებლის სარჩელი ფინანსური ზიანის ანაზღაურების თაობაზე იყო დაუსაბუთებელი და ეროვნული სასამართლოს მიერ უკვე იყო გაცემული და რომ განმცხადებლის მოთხოვნა ფინანსური ზიანის ანაზღაურების თაობაზე იყო უსაფუძვლო.

9. სასამართლო ვერ ადგენს კავშირს გამოვლენილ დარღვევებსა და ნაგულებს ფინანსურ ზიანს შორის; შესაბამისად ის უარყოფს სარჩელს ამ ნაწილში. მაგრამ მეორეს მხრივ, სასამართლო ანიჭებს მომჩივანს 30 000 ევროს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ბ. ღირებულება და ხარჯები

10. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 1,000,000 სომხური დრამი სასამართლო ხარჯების და ღირებულებებისთვის, მათ შორის იურიდიული მომსახურება, თარგმანები და საფოსტო ამანათების ხარჯები.

11. სახელმწიფომ განაცხადა რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯები და ღირებულებები არ იყო სრულად დასაბუთებული.

12. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით განმცხადებელი უფლებამოსილია მიიღოს ხარჯების და ღირებულებების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ხარჯების გაწევა ნამდვილად მოხდა და საჭირო იყო და გონივრულია მათი ოდენობა. მოცემულ საქმეში სასამართლოს ხელთ არსებული მასალების და ზემოთ ხსენებული კრიტერიუმის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს რომ სასამართლო ხარჯებისთვის გონივრული კომპენსაცია შეადგენს 500 ევროს.

გ. ვალდებულების შეუსრულებლობის საურავი

13. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-5-ე ნაწილის და მე-13-ე მუხლის და ოქმი #7 მე-3-ე მუხლის საფუძველზე განმცხადებლის სასარჩელო მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და სარჩელის დანარჩენი ნაწილი ცნობილ იქნას დაუშვებლად.

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13-ე მუხლის დარღვევას;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის ოქმი #7 მე-3-ე მუხლის დარღვევას;

4. არ არის საჭირო საჩივრის განხილვა კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის ფარგლებში;

5. ადგენს

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს გადაუხადოს სამი თვის მანძილზე მას შემდეგ რაც გადაწყვეტილება გახდება საბოლოო კონვენციის 44-ე მუხლი მე-2-ე ნაწილის შესაბამისად, შემდეგი თანხები, მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში მორიგების დღეს არსებული კურსით:

(i) 30,000 ევრო (ოცდა ათი ათასი ევრო) და დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ii) 500 ევრო (ხუთასი ევრო), და დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

6. უარს ამბობს განმცხადებლის სხვა სასარჩელო მოთხოვნის განხილვაზე სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხზე;

მომზადებულია ინგლისურ ენაზე, შეტყობინება გაგზავნილია 2012 წლის 12 ივნისს, სასამართლოს წესების 77-ე წესის მე-2 და მე-3-ე ნაწილების მიხედვით

სანტიაგო კუესადა
განმწესრიგებელი

ჯოზეფ კასადევალი
პრეზიდენტი

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.